

სოფიკო გელიაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**იდენტობის პრობლემა ჯუნა ბარნსის რომანში
„ქალთა აღმანახი“**

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში მოდერნისტული ლიტერატურის ჩამოყალიბებამ არაერთი საკითხის აქტუალიზაცია გამოიწვია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი იდენტობის პრობლემა აღმოჩნდა, რაც გულისხმობდა ლიტერატურულ პერსონაჟთა მკვეთრად გამოხატულ გაორებას, საკუთარი თავის მუდმივ ძიებას და კონფლიქტს სექსუალურ იდენტობასთან, ხშირად – ორსქესოვნებასთან. აღნიშნულმა პრობლემატიკამ დიდი დოზით იჩინა თავი ამერიკელი ექსპატრიატი მწერლის, ჯუნა ბარნსის შემოქმედებაში, კერძოდ კი 1928 წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოებში „ქალთა აღმანახი“.

ჯუნა ბარნსმა „ქალთა აღმანახში“ წარმოგვიდგინა მე-20 საუკუნის პარიზული სალონის ატმოსფერო და არატრადიციული ორიენტაციის მქონე ქალბატონები, რომელთა იდენტობის მოპოვების მცდელობა მწერლისათვის ირონიული დამოკიდებულების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. აღნიშნული ნაწარმოებით ბარნსმა დასცინა არამხოლოდ ლესბოსელებს, არამედ ყველა ადამიანს, რომელთაც საკუთარი ორიენტაციისათვის სახელის დარქმევა სცადეს. დღესდღეობით, დაშიფრული და უმეტესწილად ამოუხსნელი შინაარსის ტექსტი კრიტიკოსთა მიერ მივიწყებულია, რადგან აქამდე ჩატარებული კვლევები მას ხშირად არასწორ ინტერპრეტაციას აძლევენ; რთულად გასაგები წერის ტექნიკიდან გამომდინარე კი შინაარსის გაგება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ფრან მიშელი ამ ფაქტს შემდეგნაირად აფასებს: „დეკონსტრუქციის მეთოდის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოყენება გვიჩვენებს, რომ ტექსტის მწყობრი და ერთიანი სისტემა ყოველთვის ილუზორულია. ნებისმიერი ტექსტი, რომელსაც ახლოდან შევისწავლით, მიგვიყვანს გაურკვეველობასთან, გადაუწყვეტელობასა და აპორიასთან“¹ (“Deconstructive theory and practice demonstrate that order, the coherence of system, is always illusory. Any text, examined closely enough, will reveal an uncertainty, an undecidability, an aporia”) (Michel, 1989, pp. 36). რეალობა კი ისაა, რომ ნაწარმოები ბევ-

¹ ციტატები ქართულ ენაზე თარგმნილია ავტორის მიერ.

რად მეტ ყურადღებას იმსახურებს, რადგან სწორედ რთული შინაარსით, მრავალფეროვანი სტრუქტურითა და გამორჩეული წერის მანერით „ქალთა ალმანახი“ მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია.

ნაწარმოებში ნაჩვენებია ამერიკელი ექსპატრიატი დრამატურგისა და მწერლის, ნატალი კლიფორდ ბარნის პარიზული სალონი – Academie des Femmes. ალის ბარსელა ამერიკელ ექსპატრიატებზე წერს: „ჯერ კიდევ არაა ნათელი, თუ რატომ აირჩიეს ამერიკელებმა საფრანგეთი, მაგრამ ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამის მიზეზი იყო ამერიკული ტრადიციონალიზმი და აკრძალვებისაკენ მიდრეკილება“ (“The reason why they chose France to expatriate is not clear yet, but many scholars hypnotize that it happened because of American traditionalism and Prohibitionism”) (Barcella, 2017, pp. 121). ნაწარმოების სახელწოდება ტრადიციული ალმანახის პაროდირებას წარმოადგენს და როგორც არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, მწერალს მსგავსი სათაური შესაძლოა აეღო გაზეთიდან, რომელიც მე-18-19 საუკუნეებში ქვეყნდებოდა ინგლისში და ერქვა “Ladies Diary and Women’s Almanack”. ტექსტი თორმეტ თავად, სიმბოლურად, წელიწადის თორმეტ თვედ იყოფა. იგი აერთიანებს არა მხოლოდ სალონური შეხვედრების აღწერებს, არამედ ლექსებს, სიმღერებს, ბიბლიურ სიუჟეტებს, მითებს და ბარნისის მიერ შექმნილ ნახატებს. „ალმანახის“ აგების ამგვარი ხერხი კი მიგვანიშნებს, რომ მწერალზე შესაძლოა ისეთ ავანგარდისტებს ჰქონოდათ გავლენა, როგორებიც იყვნენ სონია დელონი, ხუან მირო და ჟაკ დიუპინი. დელონის მიერ გამოცემული „ანბანი“ და მიროსა და დიუპინის ნახატებით გაფორმებული პოეტური კრებული იმ დროს სულ ახალი გამოცემული იყო. ბარნის „ალმანახში“ იყენებს როგორც რესტავრაციის პერიოდის, ისე მოდერნისტულ, ჯეიმს ჯოისისეულ ენას, რაც მკითხველში ბუნდოვანებას და ხშირად სრულ გაურკვევლობას იწვევს. გრამატიკული წესების უარყოფით და სინტაქსის სრული რღვევით ტექსტში თითქმის არცერთი ეპიზოდი იკითხება ნათლად და გარკვევით; ფრაზების უმეტესობა კოდირებულია, გაშიფვრა კი, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი, რადგან მათი მნიშვნელობები მხოლოდ სალონური საზოგადოებისთვის იყო ცნობილი. თავდაპირველად, მწერლის მიზანი არ ყოფილა „ალმანახის“ ფართო მასებისათვის გაცნობა. იგი დაიბეჭდა მხოლოდ ვიწრო წრისათვის, რადგან მოდერნისტული ნაწარმოები არ გულისხმობდა ყველასათვის გასაგები და მისაღები სტილით წერას.

ნატალი ბარნის არასდროს დაუმაღლავს საკუთარი სექსუალური ორიენტაცია და სწორედ თავისი ლესბოსელობა გახდა ერთგვარი შთაგონების წყარო ჯუნა ბარნისათვის. ქალბატონების უმეტესობაც, რომლებიც ნატალის სალონში იყრიდნენ თავს, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისა იყვნენ. კრისტინ ბერნი მის სტატიაში აღნიშნავს: „„ალმანახის“ სამყაროში, „თანამედროვე გოგომ“ უარი თქვა „შუასაუკუნოვანი“ დამღლელ, პეტეროსექსუალთა ტექნიკაზე, რათა სიამოვნება მიეღო ისე, როგორც ეს „თანამედროვე გოგოს“ შეჰფერის“ (“In the world of her *Almanack*, the “modern Girl” has

left behind the tired, “Medieval” methods of heterosexuality in order to enjoy the pleasure of “a Girls as modern”) (Berni, 1999, pp. 90). ამერიკიდან თუ ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან პარიზში საცხოვრებლად ჩამოსული ქალები ხელოვნების სფეროს წარმოადგენდნენ და ქმნიდნენ ერთგვარ ელიტარულ წრეს, სადაც ლესბოსელობა მოდურად და მასისაგან განსხვავებულ მდგომარეობადაც კი მოიაზრებოდა. „აღმანახის“ პირველივე გვერდზეც ხომ მწერალი თავის თავს შემდეგნაირად მოიხსენიებს: „დაწერა და ილუსტრაციები დაურთო მოდურმა ქალბატონმა“ („written and illustrated by a Lady of Fashion”) (Barnes, 2016, pp. 3). სალონის სტუმრებს შორის იყვნენ: ინგლისელი მწერალი რედკლიფ ჰოლი, მოქანდაკე და მთარგმნელი უნა თრუბრიჯი, რომელიც ასევე რედკლიფ ჰოლის პარტნიორი იყო; ინგლისელი დრამატურგი, მწერალი და მხატვარი მინა ლოი, დოლი უაილდი, ამერიკელი მხატვარი რომეინ ბრუკსი და სხვ.

„ქალთა აღმანახის“ პერსონაჟთა პროტოტიპებს ჩამოთვლილი ქალბატონები წარმოადგენდნენ, რომელთა ბუნდოვანი საუბრებისა თუ საქციელის მიღმა ჯუნა ბარნსი აყენებდა არა მხოლოდ ერთი შეხედვით მარტივ მიზეზს – სექსუალურ ორიენტაციას, არამედ ადამიანის ბუნებაში არსებულ საკუთარი თავისა და იდენტობის პოვნისადმი მისწრაფებას. აქედან გამომდინარეა, რომ კრიტიკოსთა ნახევარი ტექსტს ე.წ. ლესბოსურ ლიტერატურას მიაკუთვნებს, მეორე ნახევარი კი მას ყველანაირი ორიენტაციის მიმართ მიმართულ ირონიად მიიჩნევს, რასაც სრულიად ვეთანხმები. ტექსტის ურთულესი სტრუქტურა პირდაპირ კავშირშია ადამიანის ბუნების ასევე ურთულეს მოცემულობასთან, რომლის მაგალითადაც გვევლინება ნაწარმოების მთავარი გმირი ევანჯელინ მუსესი. სიუჟან შნაიდერ ლანსერი პერსონაჟის სახელსა და გვარს შემდეგნაირად განმარტავს: „მისი გვარი გვახსენებს ფრანგ რომანტიკოს პოეტს ალფრედ დე მუსესს, რომელიც თავის საყოველთაოდ ცნობილ საყვარელთა შორის უორუ სანდსაც მოიხსენიებდა; „ევანჯელინ“ კი – როგორც ევანგელისტებს, ისე ჰენრი ლონგფელოს უმწიკვლო, უცოდველ ქალ პერსონაჟს – ევანჯელინს“ („Her last name evokes the French romantic poet Alfred de Musset, who counted George Sand among his notorious liaisons; “Evangeline” recalls the religious evangelists as well as the saintly Longfellow heroine”) (Lanser, 1979, pp. 42). მთავარი პერსონაჟის პროტოტიპი ნატალი კლიფორდ ბარნია. იგი იბადება ქალად, თუმცა „ის ბიჭად ჩაისახა თავისი ალერსიანი დედის მუცელში“ („...she had been developed in the Womb of her most gentle Mother to be a Boy”) (Barnes, 2016, pp. 7). ევანჯელინი უარყოფს მდედრობით სქესს და ისე ცხოვრობს, როგორც მამაკაცი. მისი მამისთვის ეს დიდი დარტყმაა, დედა კი სრულიად ქრება ნაწარმოებიდან. აღსანიშნავია, რომ „ქალთა აღმანახის“ პერსონაჟები არასდროს საუბრობენ დედობაზე, რადგან ევანჯელინ მუსესი სიბრძნის მოპოვების ერთ-ერთ გზად დედობაზე უარის თქმა მიაჩნია. აქვე ბუნდოვანი რჩება, ევანჯელინს მხოლოდ მდედრობითი სასქესო ორგანო აქვს თუ პერმაფროდიტია,

რადგან ტექსტში გვხვდება მინიშნება დასაჭურისებაზე, რომელსაც იგი კატეგორიულად უარყოფს. არსებული სიუჟეტი საშუალებას გვაძლევს, პარალელი გავავლოთ მწერლის 1936 წელს გამოცემულ რომანთან „ღამის ტყე“, სადაც ვხვდებით ექიმ მეთიუ ო'კონორს, რომელიც ჰერმეფროდიტი ტირესიასის თანამედროვე განსახიერებაა. თუკი ევანჯელინი ქალურობას უარყოფს, მეთიუ ო'კონორი მამაკაცობაზე ამბობს უარს; ასევე ორივე პერსონაჟს აერთიანებს ხალხის მართვის და საუბრის ნიჭი. სინამდვილეში კი მათ დიდი ტანჯვა აერთიანებთ, რადგან გამუდმებით უწევთ არსებული რეალობის უარყოფა და ალტერნატიული მოცემულობის შექმნა, რომელშიც ისინი მათთვის სასურველ სქესს წარმოადგენენ.

მიუხედავად სოციუმში არსებული წინააღმდეგობისა, ევანჯელინ მუსე ქმნის ერთგვარ სალონს ქალებისათვის. იგი წმინდანის სახით გვევლინება, რომელმაც იქ მისული ადამიანები „სწორ“ გზაზე უნდა დააყენოს. აღსანიშნავია, რომ ავტორი მას ადგილს უჩენს ჰეტეროსექსუალთა სიყვარულის მფარველი ქალღმერთის, ვენერას ქანდაკების გვერდით, რაც არსებული სიტუაციის მიმართ მის ირონიულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს. მიუხედავად ჯუნა ბარნისის ლესბოსელობისა და ნატალი ბარნისთან ახლო მეგობრობისა, ფაქტია, რომ მწერალი იმაზე მეტად უღრმავდებოდა ადამიანთა საქციელს, ვიდრე სალონის ნებისმიერი წევრი. ბარნისი აშკარად დასცინის მათ თითოეულ მცდელობას, რომელიც მიმართულია რაიმე მოსაზრების დასამტკიცებლად, რადგან ხვდება, თუ რაოდენ ამაოა ყველა ქმედება და რა უაზროა იდენტობის ან საკუთარი თავის „პოვნა“, მაშინ როდესაც ადამიანი მუდმივად მერყეობს თავის სურვილებში. მისი აზრით, ის, რაც ქალბატონებს ახალი აღმოჩენა ჰგონიათ, უბრალოდ, მოდას აყოლილი საქციელია; ყოველივე ეს კი გამყარებულია ზიგმუნდ ფროიდის ნაშრომებით, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი ხდება ჩვენი სურვილებისათვის სახელის დარქმევა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მტკიცდება ადამიანში მდებრობითი და მამრობითი საწყისის არსებობა. მიუხედავად მეცნიერული ახსნებისა, მწერლისათვის ადამიანი უძველესი დროიდან დღემდე უწყვეტ მოძრაობაში მყოფი ქმნილებაა, რომელშიც იმხელა გამოცდილებას მოუყრია თავი, რომ მისი ერთ ჩარჩოში მოქცევა წარმოუდგენელია. „ღამის ტყეში“ რობინ ვოუტის პერსონაჟით ბარნისი სწორედ ისეთ არსებას ქმნის, რომელიც არ ეკუთვნის არაფერს და ამავედროულად ყველაფერს ეკუთვნის. ქალის ამგვარი სახე ერთგვარი პასუხია მის მიერვე წარმოდგენილი „ქალთა აღმანახის“ პერსონაჟების მიმართ: ადამიანი ერთდროულად ქალიც არის და კაციც, ჰომოსექსუალიც და ჰეტეროსექსუალიც, ჰერმეფროდიტიც და ასექსუალიც, ბავშვიც და ცხოველიც...

პირველ თავში, სახელწოდებით „იანვარი“, ბარნისი წარმოგვიდგენს ფეიშენს სკალპელს, რომლის პროტოტიპი მინა ლოია. მისი, როგორც ნაწარმოების ერთადერთი ჰეტეროსექსუალის, როლი ისეთივე ორგვარი ბუნების მატარებელია, როგორიც ყველა სხვა დანარჩენის. სკალპელს არ ესმის, თუ როგორ შეიძლება ქალებს შორის არსებობ-

დეს სიყვარული, მაშინ როდესაც მათ შორის სხვაობა არ არის: „განა მათი ორგანოები ისეთივე მსგავსი არაა, როგორიც ბარდის მარცვლები...“ (“Do they not have Organs as exactly alike as two Peas...”) (Barnes, 2016, pp. 11). მისი აზრით, გიყვარდეს ქალი იგივეა, რაც გიყვარდეს საკუთარი თავი და არა სხვა ადამიანი. მიუხედავად მსგავსი პოზიციისა, ფეიშენსი ლესბოსელებს შორის არსებულ გრძნობას ადარებს „ექსტაზის ბაღს“ (a Garden of Ecstasy), რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ბარნსის პოზიციას ადამიანის ბუნების ცვალებადობასა და იდენტობის მერყეობასთან დაკავშირებით. ჯუდიტ ბატლერი კი ამ მოვლენას შემდეგნაირად აფასებს: „ჰეტეროსექსუალობა ყოველთვის ცდილობს მიბადოს და მიუახლოვდეს მის წარმოსახვით იდეალურობას, თუმცა უშედეგოდ“ (“heterosexuality is always in the process of imitating and approximating its own phantasmatic idealization of itself – and *failing*”) (Butler, 1993, pp. 313). ამავე იდეას ემსახურება „სექტემბერში“ წარმოდგენილი ლექსი, სადაც მწერალი გვიჩვენებს იმ ქალბატონებს, რომლებიც პოტენციური ლესბოსელები არიან. ამ ჩამონათვალში თავს იყრიან ყველანაირი ხასიათისა თუ წოდების ქალები, რაც ადამიანთა არასტაბილურობის კიდევ ერთ, დამატებით ნიშნად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მესამე თავში („მარტი“) წარმოდგენილი წყვილი, ტილი-ტვიდ-ინ-ბლადი და ქალბატონი ბაქენდ-ბაქი, ადამიანში არსებული გაურკვევლობის კარგ მაგალითად წარმოგვიდგებიან. პერსონაჟების პროტოტიპებად გვევლინებიან რედკლიფ პოლი და უნა თრუბრიჯი. წყვილი სტუმრობს ევანჯელინ მუსეს, რათა განიხილონ ლესბოსელთა ქორწინების საკითხი, თუმცა მათ საუბარში არაერთ შეუსაბამობას ვაწყდებით. ქალბატონი ბაქენდ-ბაქი მოითხოვს, რომ განქორწინების შემთხვევაში დაწესდეს სავალდებულო აღიშენი, რაც სრულიად არ შეესაბამება მათ იდეოლოგიას, კონკრეტულად კი ქალებს შორის სიყვარულის უპირატესობას და ამ გრძნობის ამაღლებულობას. ტილი-ტვიდ-ინ-ბლადი კი ამბობს, რომ მამაკაცები ბევრ რამეში შეიძლება გამოიყენონ, მაგალითად, ტვირთის სატარებლად, რაც ასევე წინააღმდეგობაშია მათ მოსაზრებასთან მამაკაცის უფუნქციობასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ორივე პერსონაჟი ცდილობს მათსავე შექმნილი იდენტობის გამყარებას, თუმცა საუბარში თავადვე აბათილებენ ამ „ტეშმარიტებას“. ამავე თავში ბარნსი გეთავაზობს ადამიანის შექმნის, კონკრეტულად კი ლესბოსელი ქალის შექმნის მითს, რაც თავისთავად აკნინებს მამაკაცის როლს, თუმცა ამავდროულად მწერლის მიერ წარმოდგენილი ალტერნატივა ამყარებს ჩვენი არსებობის პარადოქსულობის იდეას. მითში მოთხრობილი ამბის მიხედვით, ლესბოსელი ქალი შეიქმნა ზოდიაქოს თორმეტი ნიშნის შეერთების შედეგად: „და ეს იყო პირველი, განსხვავებული ნიშნით დაბადებული ქალი“ („And this was the first Woman born with a Difference”) (Barnes, 2016, pp. 26). სიუჟან ჰამშა ტექსტში წარმოდგენილ მითზე წერს: „ჩვეულებრივ, „ქალის“ ცნება განისაზღვრება „მამაკაცის“ ცნების საწინააღმდეგო

მდგომარეობად. ამ შემთხვევაში კი, „მამაკაცის“ არარსებობის დროს, „ქალის“ მნიშვნელობის წარმოჩენა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სხვა ქალებთან დაპირისპირებაში“ („Usually, the meaning of “woman” is determined in opposition to “man”. Here, in the absence of “man”, the meaning of woman can only be achieved in opposition to other women”) (Hamscha, 2004, pp. 2001). თუკი ლესბოსელი ქალი, არაერთი მკვლევრის აზრით, არის ქალი, რომელსაც მამაკაცობა სურს, მაშინ გამოდის, რომ პირველი ადამიანი არც მამრობითი სქესისაა და არც მდედრობითი. ბარნსისეული ადამიანი ერთდროულად ყველა იდენტობისა თუ ნიშნის მატარებელია.

„აღმანახში“ მწერალი ძველი აღთქმის თანამედროვე ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს. დოლი ფიურიესი, რომლის პროტოტიპიც დოლი უაილდია, ევანჯელინ მუსეს უყვება „ისტორიის მეოთხე უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე“, რომლის მიხედვითაც, ბოროტებით გამორჩეული დედოფალი იხებელი და საბას დედოფალი ერთმანეთს ხვდებიან და ეს შეხვედრა მათი ერთმანეთისადმი სიმპათიის გაჩენით სრულდება. ორი დედოფლის შეხვედრით, ბარნსი აქრობს დროისმიერ ბარიერს და ცდილობს, რომ მკითხველში რაც შეიძლება მეტად აღქმადი გახადოს თითოეული ისტორიული გმირი, რომელთა თავმოყრა და რესტავრაციის ენით მოდერნიზმის ეპოქაში გამოჩენა მწერლის ჩანაფიქრს – ზედროულობის განცდის გაჩენას და ამა თუ იმ მოვლენის ერთიანობაში აღქმას ემსახურება. ამგვარ ინტერპრეტაციაში, რა თქმა უნდა, ირონიაც იკითხება, რადგან სალონურ საზოგადოებას შეამიტურად სჯერა მდედრობით სქესს შორის არსებული სიყვარულის ამადლებულობისა და მასზე ლეგენდებსაც კი თხზავენ.

„დეკემბერი“ ევანჯელინ მუსეს გარდაცვალების თავია, თუმცა მანამდე, მთელი „ნოემბერი“ მის უშედეგო, გოგონების გადმოხიზვების მცდელობას ეთმობა. ეს მისი უკანასკნელი იმედია, რომ ადამიანებს „სწორი“ გზა უჩვენოს, თუმცა მუსეს უკვე აღარავინ უსმენს. ამ ფაქტით მწერალი მიგვანიშნებს იდეოლოგიის არამყარ საფუძველზე და ადამიანთა ერთ კონკრეტულ ჩარჩოში მოქცევის უარყოფაზე. ევანჯელინ მუსეს გარდაცვალება მისი მიმდევრებისათვის დიდი ტკივილია. კრემაციის შემდგომ კი ჯუნა ბარნსი მთელ ამ ირონიით გაუდენთილ ისტორიას საბოლოო შტრიხს უმატებს და წერს, რომ წმინდანი ქალბატონისგან მხოლოდ ენა გადაურჩა ცეცხლს. ამგვარი დასასრული მწერლის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია და მკითხველიც კიდევ ერთხელ იაზრებს, თუ რაოდენ ამაოა ჭეშმარიტების ძიება „აღმანახის“ პერსონაჟთათვის, მაშინ როდესაც წმინდანი ევანჯელინ მუსესგან რჩება მხოლოდ ენა – ლესბოსელთა უმთავრესი ინსტრუმენტი.

The Problem of Identity in Djuna Barnes' "Ladies Almanack"

Summary

The search for identity was an imperative in modernist literature of 1920s, culminating in the cult classic works of American writer Djuna Barnes. Barnes' modernist presence is founded most strongly on her novel *Nightwood* (1936) but the achievement of that work continues to overshadow her other work, like "Ladies Almanack" that was written in 1928. "Ladies Almanack" describes life of elite women and lesbian atmosphere in Natalie C. Barney's salon in Paris. In "Almanack" Barnes imitates writings of English literature of Restoration period and it is a parody of the traditional almanac form.

Based on my long term experience in Barnes studies and particularly from this research Barnes' modernist literary and cultural practice is fundamentally heterogeneous and discontinuous. In this article I am seeking to launch new ways of considering her work, particularly "Ladies Almanack". In Georgia no critical attention has been paid to the American writer. My master's research was the first Georgian-language research focused on Barnes. Barnes and her works have never been considered together in a single study, or even an article.

In the article I discuss reinventing of womanhood and quest for female identity. I am seeking not simply to situate quest for female identity in a lesbian or gender studies context, because Barnes' characters' search for identity goes far beyond the sexual orientation and results in search of core *essence* of the *personality*. In this study I am engaged in investigating the representations of *identity bifurcation*, the *subconscious and internal conflict with two distinct sexes* plays a significant role in the quest for female identity and how it led us to *allusions* to mythic *Tiresias*. *This article is focus on Barnes's social and literary interventions in matters of sexuality. However, I provide discussions of sexuality of "Ladies Lamanack's" characters only when it is especially pertinent to the scope of this study.*

In this study I offer a different and much needed perspective on problem of womanhood and quest for female identity in Barnes's writings. My approach to writing and thinking about identity problem involves an acknowledgment of fact that development of sexual identity (gay, lesbian, or bisexual) is a complex and often difficult process. Paper puts forth the somewhat controversial position that "Almanack" can be described as a lesbian literature. From my point

of view, it is inadmissible to analyze this novel from only lesbian perspective. “Almanack” is not just lesbian-themed novel but is famous with its difficulty of contents and structure.

While modernist scholars have assumed the task of recovering female authors like Djuna Barnes, from my point of view there is much work still to do, especially in light of how Barnes’s in “Almanack” experienced and treated through experimental forms and embodied language to reflect difficult process of identity bifurcation, that led us to the collapse of the identity.

The recent turn in “modernist studies” is much more theoretically and culturally open. From the perspective of Georgian scholar I think that we must test explorations of Barnes’ writings in wider cultural context of modernism, not only in context of lesbian or gender studies.

Theorists like Jacques Derrida and his significant concepts have guided my thinking about this article and informed the theoretical framework. I frame my theoretical understanding of reinventing of womanhood and quest for female identity in “Ladies Almanack” primarily using *methods of deconstruction and close reading*. In particular I find Derrida’s approaches applicable to an investigation of representations of *identity bifurcation*, the *subconscious and internal conflict* of Barnes’ characters. His concepts have influenced my understanding of deconstruction and, more broadly, in context of feminist, gender and lesbian studies theory in relation to this article.

Research showed factors that led Barnes’s characters to identity bifurcation, human alienation and resulted in collapse of the identity: The great disappointment, emotional devastation caused by the First World War that led to meaningless relationships; the major *theories of psychology and attempt of modernist writers which were using archetypes in order to woke up the forgotten inborn feelings and instincts from the depths of human existence*.

Barnes had marginal positions in mainstream society because of her sexual orientation. In that sense, lesbian theme-oriented “Ladies Almanack” is a perfect piece and Barnes herself is a perfect writer for representations of trauma, female identity, sexual identity and embodiment, all of which are marginalized and dismissed in canonical pre-modernist literature. Research *led me* to the *conclusion* that the way Barnes arises identity problem, using parody and multiform modernist discourse, assume certain view of personal identity. In particular, we cannot put people in one *specific identity frame and that there is not only one sexual identity*.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Barcella, Alice. (2017).** The Icono-Textual Celebration of the Woman in Djuna Barnes's Ladies Almanack. *International Journal of Gender and Women's Studies*, 5, 1. doi: 10.15640.
- Barnes, Djuna. (1961).** *Nightwood*. New York, NY: New Directions.
- Barnes, Djuna. (2016).** *Ladies Almanack*. Mansfield Centre, CT: Martino Publishing.
- Berni, Christine. (1999).** "A Nose-Length into the Matter": Sexology and Lesbian Desire in Djuna Barnes's "Ladies Almanack". *Frontiers: A Journal of Women Studies*, 20, 3. doi: 129.100.58.76.
- Butler, Judith. (1993).** Imitation and Gender Insubordination. Julie Rivkin and Michael Ryan (eds.). *Lesbian and Gay Studies Reader*. Retrieved from EBL: https://www.academia.edu/24375516/Imitation_and_Gender_Insubordination
- Hamscha, Susanne. (2004).** Parodying Lesbianism: Deconstruction in Djuna Barnes's Ladies Almanack. *An Online Feminist Journal*, 1.1. Retrieved September 9, 2019, from http://academinist.org/wp-content/uploads/2010/06/010109Hamscha_Lesbianism.pdf
- Lanser, Susan Sniader. (1979).** Speaking in Tongues: "Ladies Almanack" and the Language of Celebration. *Frontiers: A Journal of Women Studies*, 4, 3. doi: 128.42.202.150.
- Michel, Frann. (1989).** Displacing Castration: "Nightwood, Ladies Almanack", and Feminine Writing. *Contemporary Literature*, 30, 1. doi: 128.235.251.160.